

Nკ-30/04/2019- 1

30 აპრილი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას,

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის განმავლობაში რადიო JAKO FM-ის  
თვითრეგულირების კომისიაში საჩივარი არ შესულა.

პატივისცემით,

შპს „კორტესი გიდაგო“-ს დირექტორი

---

მიხეილ ტარახჩევი



## საქართველოს კომინიკაციების ეროვნულ კომისიას

შპს „კორტესი-გიდაგო“ /ლიცენზია N B7  
23.09.2005წ. გადაწყვეტილება/2018 წლის  
საქმიანობის ანგარიშგებისა და 2019 წლის  
სამომავლო გეგმების შესახებ

როგორც მოგეხსენებათ რადიო JAKO ეთერში მაუწყებლობს 2016 წლის 16 იანვრიდან **FM-96,3** სიხშირეზე. ვინაიდან იგი სპორტული პროფილისაა, მუშაობის სპეციფიკაც განსაკუთრებულია.

რადიო JAKO-ს ეთერში ძირითადი ადგილი უჭირავს სპორტულ-საინფორმაციო და გასართობ- შემეცნებით პროგრამებს. ამასთანავე პირდაპირ ეთერში ვიწვევთ სპეციალისტებს, სპორტსმენებს და სპორტით დაინტერესებულ სხვა პირებს, ვაწარმოებთ პირდაპირ ეთერში რადიო რეპორტაჟებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩატარებული საქართველოს ეროვნული ჩემპიონატებიდან.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „კორტესი-გიდაგო“-ს მოკლევადიანი აქტივები შეადგენს 145 375 ლარს, გრძელვადიანი აქტივები კი 32 310 ლარს. მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები ჯამურად წარმოადგენს 267 677 ლარს.

საზოგადოების ერთ-ერთი დანმფუძნებელი და წილის 51%-ის მფლობელია არარეზიდენტი იურიდიული პირი შპს «GBTimes OY» რომელიც რეგისტრირებულია ფინეთში. 46% წილის მფლობელი რეზიდენტი შპს „ემ ეს გრუპი“ (ს/კ 404941756) და 3% წილის მფლობელი რეზიდენტი შპს „სპორტული რადიო ჯაკო“.

2013 წელს შპს „კორტესი-გიდაგო“ გახდა საერთაშორისო მედია ჰოლდინგ „GBTimes“-ის წევრი, რომელიც აერთიანებს ევროპულ ქვეყნებს და ამავდროულად არის დამკვეთი კონტენტის მომზადებასა და მის მიწოდებაზე. ამასთანავე რადიო JAKO მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საქველმოქმედო და მედია ტურნირებში. წელს ვმაუწყებლობთ იგივე ფორმატით, პერსპექტივაში კი ვაპირებთ გავაფართოვოთ ჩვენი სამაუწყებლო ბაზა.



## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კორტესი-ვიდაგო“-ს (ს/ნ 204907985) დამფუძნებლებს და მენეჯმენტს

### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კორტესი-ვიდაგო“-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შეესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამონვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მოზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეათვასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

#### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამონვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენ მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამონყვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე :

- ვადგენთ და ვათვსებთ თაღლითობით ან შეცდომით გამონვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებით უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამონვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამონვეული



უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვანვლით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

14 აპრილი 2019 წელი

შპს „აუდიტორნი“

მმართველი პარტნიორი: თეიმურაზ კომლაძე

